ცნობის ფურცელი

№ 2243 | პარასკევი, 22 აგვისტო | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2243

[illegible]: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყველდღიური სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ნოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ღოდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. კალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—105)

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისი.

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სუვორის ნომრების" ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საავთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესაფერად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქ. და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. 100—58)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ბრ. გ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, გელოვანისავსკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б. (წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(კლისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2-მდე. საღამო-საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

საზღვარ-გარედ

—

მაკედონია. ბოლგარული და სერბიული გაზეთები ერთხმად ჰგმობენ ბერძნების უსინდისო ქცევას. მართლაც ბერძნები თავიანთ მიტროპოლიტებისა, მღვდლებისა და კონსულების მეთაურობით ოსმალების მხარეს გადავიდნენ და დაბეზღებით დიდს ზარალს აძლევენ ბოლგარებს. გაჯავრებული ბოლგარებიც ბერძნებს უფრო სასტიკად ექცევიან, ვიდრე ოსმალებს. სერბიული გაზ. „შტამპა" იუწყება: ქალაქ კოსტურის ბერძნებმა ადგილობრივ კაიმაკამს დეპუტაცია გაუგზავნეს და სთხოვეს, იარაღი მოგვეცით, რომ ოსმალების გვერდზე აჯანყებულთ წინააღმდეგ ვიბრძოლოთო. კაიმაკამი ოსმალია, მაგრამ ბერძნების უსინდისობამ ისე ააშფოთა, რომ მაშინვე გარეკა: „ფადი-შაჰის ჯარი თითონ გაუსწორდება აჯანყებულთ, ბერძნების შველა საჭირო არააო".

ამბობენ, საბერძნეთის მთავრობამ კავშირი შეჰკრა ოსმალეთთანაო. თუ ომი ასტყდა, ორსავ სახელმწიფოს ჯარის უფროსობა ოსმალეთის ხელში იქნება, ფლოტისა კი საბერძნეთის ხელში. ინგლისური გაზ. „ტაიმს"-ი მკაცრად ჰგმობს ოსმალეთისა და საბერძნეთის კავშირს და ჰფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობა ნებას არ მისცემს საბერძნეთს, რომ ოსმალეთს კავშირით შეეკრასო.

თუ შეგნებული და პატიოსანი ხალხი ერთხმად ჰგმობენ მაკედონელ ბერძნების უსინდისო ქცევას, სამაგიეროდ ზოგიერთი ბერძენი მეცნიერი თურმე ძლიერ იწონებს მაკედონიელ თანამოძმეთა უსინდისობას. ათენის უნივერსიტეტის პროფესორს კაზაზისს სტუდენტებისათვის ლექციები წაუკითხავს და ის აზრი გამოუთქვამს, რომ მაკედონია იმ თავითვე ბერძნებს ეკუთვნოდა და ეხლაც ბერძნებს უნდა ეკუთვნოდესო. ბოლგარები, სერბები და რუმინები უსამართლოდ იჩემებენ მაკედონიასო. ამიტომ ბერძნებს ბოლგარები და სხვა ერები უნდა სძულდეთო. ეროვნული სიძულილი დიდი ძალაა, ერის ძლიერებას ყოველთვის ეს სიძულილი ჰქმნიდაო. ამაზე მაკედონიელ ბოლგართა კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა მიხაილოვსკიმ პასუხი მისცა კაზაზისს: ათას წელიწადზე მეტია, რაც ბოლგარები და სხვა ერები მაკედონიაში ბერძნების გვერდზე დამკვიდრდნენ და რიცხვით კიდეც სჭარბობენ ბერძნებს. მაკედონია ყველას საერთოდ ეკუთვნის და არა მარტო ბერძნებს. ეხლანდელ ბრძოლაში ბერძნები თუ ბოლგარები, ყველანი თანასწორად უნდა იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ეხლანდელი ბერძნები ზნეწამხდარი და დაცემული ხალხია; იმის მაგიერად, რომ ბოლგარებს მხარი დაუჭირონ და მაკედონია ოსმალეთის მონობისაგან გაანთავისუფლონ, მტარვალებს ემხრობიან და ბოლგარებს ემტერებიან. კაზაზისმა უპასუხა მიხაილოვსკის და ისევ წინანდელი აზრი გაიმეორა: ეროვნული სიძულილი დიდი და სასარგებლო ძალააო, ბერძნის ერს თუ უშველის რამე, ეს ეროვნული სიძულილი უშველისო. ერთა შუა სიძულილი ისტორიული კანონია და ზნეობისა, ჭეშმარიტებისა და სიმართლის პრინციპებს სრულებით არ ეწინააღმდეგებაო. კაზაზისის აზრით, ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხალხის მოდგმას, ანუ რასას. ბოლგარები ცუდის მოდგმის ხალხნი არიან: ესენი თურანთა ჩამომავალნი არიან. მართალია, მეცნიერებს ბოლგარები სლავიანთა ჩამომავლობის ხალხად მიაჩნიათ, მაგრამ ნამდვილად ბოლგარებს ნამცეციც არა მოსდგამთ-რა. ბერძნები გაცილებით მაღლა დგანან ბოლგარებზე; 30 საუკუნის განმავლობაში აზრის მოციქულები იყვნენ და მთელს კაცობრიობას წინ უძღოდნენ. განათლების მიღება და შეთვისება ბოლგარებს მხოლოდ ბერძენთა კულტურის შემწეობით შეუძლიანთო,—ასე ათავებს თავის წერილს შოვინისტი მეცნიერი.

✦ ბერძნული გაზეთებიც ძლიერა ჰლანძღვენ თურმე აჯანყებულ ბოლგარებს. ამიტომ ხონთქარს ნება დაურთავს, ბიტოლიაში ბერძნული გაზეთები თავისუფლად იყიდებოდესო.

✦ აჯანყებულნი ქალ. ლერინს დასცემიან, მაგრამ ვერ აუღიათ. მარტო ოსმალების უბნისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ. ქალაქს ყველა მხრიდან ოსმალოს ჯარი შემოეხვია. ჩეგანის მთის ძირში აჯანყებულთ ერთი ბატალიონი ოსმალოს ჯარი დაამარცხეს და სულ გაანადგურეს.

✦ 11 აგვისტოს ქალ. ადრიანოპოლში მუსულმანები ქრისტიანებს დასცემიან და გაუძლეტიათ. ამბობენ, ქალაქის მიდამოებში აჯანყებულნი სადარაჯო რაზმს დაეცნენო და ოსმალებმა ზარბაზნები ესროლესო. ქალაქის ხალხს შიშის ზარი დაეცა. მუსულმანები ქრისტიანებს დაერივნენ და ხოცვა დაუწყეს. ევროპიელმა კონსულებმა ვალის პროტესტი გამოუცხადეს.

✦ აჯანყებულთ შავის ზღვის პირას ინიადის ახლო დიდი სოფელი ურგასი მთლად დასწვეს. სოფლის მმართველობა დინამიტით ააფეთქეს. ოსმალოს ჯარი მოვიდა საშველად, მაგრამ აჯანყებულნი ჩაუსაფრდნენ და ოსმალოს რაზმი სულ ერთიან ამოსწყვიტეს.

✦ მონასტირში სამხედრო სასამართლო დააწესეს დატყვევებულ რევოლიუციონერების გასასამართლებლად. სასამართლოს წევრებად ერთი სომეხი, ორი ბერძენი და ოთხი ოსმალი დანიშნეს.

✦ ბოლგარულ გაზ. „ვეჩერნია ფოშტა"-ს სტამბოლიდან სწერენ: ბიტოლიიდან კონსულები იუწყებიან, აქ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის კონსულებისა და ბოლგარიის სავაჭრო აგენტის მოსაკვლელად შეთქმულობა გამართეს ოსმალებსაო. შეთქმულები სულ ოფიცრები და ჯარის კაცები ყოფილან. დიდ შიშში არიან აქაური კონსულები. როცა კონსულები სამსახურის ასასრულებლად მიდიან, თან რევოლვერები მიაქვთ, იმათ მხლებელ დარაჯებსაც თოფები უჭირავთ და ნება აქვთ მიცემული, ყველას, ვინც კი გაჰბედავს და კონსულს მიუახლოვდება, თოფი ესროლონ. კონსულებმა თავიანთ სიცოცხლის განსაკუთრებული გარანტია მოსთხოვეს ოსმალეთის მთავრობას.

✦ ქალაქ სოლუნს თურმე წინანდებურად შიშის ზარი აქვს დაცემული. იქაურ ოსმალებს ეშინიანთ, ვაი თუ აჯანყებულნი ქალაქს დაეცნენ, ცეცხლი წაუკიდონ და შენობები ააფეთქონო; ოსმალები შეიარაღდნენ და მეტად გაბოროტებულნი არიან. ოსმალები იმუქრებიან, თუ აჯანყებულნი ქალაქზე დაცემას გაჰბედვენ, ჩვენც ბოლგარებს დავერევით და ამოვწყვეტთო. თუ ჩვენი ჯარი ბოლგარებს მიეშველება, არც იმას შევეპუებითო. აქაურ საზოგადოებრივ შენობებს დარაჯები იცავენ; ქუჩა-ქუჩა ჯარის-კაცები დადიან. ცეცხლის წაკიდების წინააღმდეგ ბევრი ღონისძიება მიიღეს. აქ ცოტა ჯარი დგას; ეხლა არტილერისტებსაც იარაღი დაურიგეს. შეძლებული ბოლგარები მომეტებულ ნაწილად სხვაგან გადასახლდნენ. ქალაქის ტრამვაის დირექციას მუქარებით სავსე წერილები მოუვიდა. ამბობენ, ბოლგარები ვიდაც აქაურ დიდ მოხელეს დასცემიან მოსაკლავად და დაუჭრიათო; დაჭრილის გასასინჯად ხონთქარის უმთავრესი ქირურგი საიდუმლოდ წამოსული სტამბოლიდანაო. „კონდოფ ფრერ"-ის ფირმის საქმის გარჩევა დაიწყო. ამ ბანკირის ფირმას ოსმალეთის მოხელეები იმ ბრალსა სდებენ, რომ აჯანყების საფინანსო საქმე მეტ წილად სულ ამ ფირმამ მოაწყოო.

✦ ბიტოლიიდან იუწყებიან: აჯანყებულთ ბიტოლისა და პრილეპს შუა ყველა ოსმალის მამულები და ყანები გადასწვეს. ბევრგან სახლ-კარს ვეღარა ჰპოობენ: სულ მიწის პირად გაუსწორებიათ. გაავეთრებული ოსმალოს ჯარის-კაცებიც სამაგიეროს უხდიან ბოლგარებს.

✦ შავის-ზღვის პირას ათასი აჯანყებული მაინც იქნება. აჯანყებულნი სოფელ ვასილიკოში რომ მისულან, მცხოვრებლებს შიშის ზარი დასცემიათ. მრავალი ხალხი ზღვაში შეცვივნულა: გაქცეულნი ვაი-ვაგლახით ნავებამდე ახწევდნენ და სტამბოლისაკენ მიდიოდნენ. ამ დროს ბევრი ბავშვი დამხრჩვალა ზღვაში.

საფრანგეთი. პარლამენტმა ეკკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების თაობაზე კომისია აირჩია. გაზ. „რაპელ"-ი იუწყება, ამ კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი პროფესორი ბიუსონი სექტემბრის ნახევარში აპირებს კომისიის შეკრებასაო. ბიუსონს უნდა, რომ კომისიის მოხსენება პარლამენტს ჯერ კიდევ სესიის გათავებამდე წარედგინოს.

✦ ნანსის ეპისკოპოსმა ტიურინაზმა ამ დღეებში მერთემოზელის დეპარტამენტის პრეფექტს მეტად მკაცრი წერილი მისწერა და გამოუცხადა, თუმცა კომბმა ბერებს ქადაგების თქმა აუკრძალა, მე მაინც არას დროს არ დავემორჩილები ამ ცირკულიარსაო. წერილის ბოლოში ეპისკოპოსი სწერს, „საფრანგეთის კანონები რომ სიმართლესა თავისუფლებასა და წესიერებას არ ეწინააღმდეგებოდნენ, თქვენცა (პრეფექტს) და პირველ მინისტრსაც სამართალში მიგცემდითო". ანტი-კლერიკალურმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ წერილს და მთავრობას მოსთხოვა, წერილის ავტორი პასუხის გებაში მიეცითო.

✦ რამდენიმე კვირაა, რაც დასავლეთ ევროპაში გაუღებლივ წვიმს და განუწყვეტლივ ქარი ჰქრის. ამ საშინელმა ამინდმა ყველაზე მეტი ზარალი საფრანგეთს მოუტანა თურმე. ზარალი მით უფრო საგრძნობ-

ლია, რომ წელს 130 მილ. გექტოლიტრ სულადის იმედი ჰქონდათ, ესე იგი შარშანდელ მოსავალზე 8(?) მილიონით მეტი უნდა მოსულიყო. საფრანგეთის მიწათ-მოქმედებს სულ მცირედ 300 მილ. ფრანკის ზარალი მოუვა. სამხრეთის მეღვინეები ხომ უფრო ძლიერაც დაზარალდებიან. ნოტიო ამინდი ვაზის ნაირ-ნაირ სენის გაჩენას უწყობს ხელსა; ყურძენი ჯერ კიდევ მკვახე და მოუწევარია და არც მოიწევს, თუ მალე უკეთესი ამინდი არ დადგა. საფრანგეთის სასოფლო მეურნეობას ცუდის ამინდისა გამო წელს სულ 1 მილიარდის ზარალი აქვს. რეაქციონერებს დიდი იმედი აქვთ ამ მოუსავლობისა. ნაციონალისტებისა და როიალისტების აგიტატორები ეხლავე სოფელ-სოფელ დადიან და გლეხ-კაცებს აგონებენ: სამინისტრო ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ პოლიტიკას მისდევს; ამაზე ღმერთი გაგვირისხდა და მოსავალი აღარ მოგვცაო. ამიტომ რესპუბლიკასა და იმის მეთაურებს დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთო.

ინგლისი. სამხრეთ-აფრიკის ომი რომ გათავდა, კაპის პარლამენტმა კომისიები დანიშნა და დაავალა, რაც კი სამხედრო წესების დროს განაჩენები იყო დადგენილი, გაარჩიეთ და რაც მეამბოხე კაპელ ბურებს ზარალი მოჰსვლიათ, უზღეთ და დააკმაყოფილეთო. იქით კვირია კაპის პარლამენტში დეპუტატმა ბერტონმა წინადადება შეიტანა, სამხედრო სასამართლოს დადგენილ განაჩენების განსახილველად უმაღლესის სასამართლოს წევრი დავნიშნოთო; ამას გარდა სააპელაციო სასამართლო დავაწესოთ და დავავალოთ, რომ კომისიებისაგან უარ-ყოფილი თხოვნები და საჩივრები გაარჩიოსო. პირველმა მინისტრმა გარდონ სპრიგმა უპასუხა, მაგ წინადადების ასრულება შეუძლებელიაო. კომისიებმა 60 ათასი საჩივარი გაარჩიეს და კიდევ 25 ათასი საჩივარი აქვთ გასარჩევიო. მთავრობა ამ წინადადების წინააღმდეგია და თუ პარლამენტი ამ წინადადებას მიიღებს, მთავრობა სამსახურიდან გადადგებაო. პირველმა მინისტრმა კამათის გადადება მოითხოვა, მაგრამ პალატა არ დასთანხმდა და 32 ხმის უმეტესობით 22 წინააღმდეგ ბერტონის წინადადება მიიღო. ამის შემდეგ პალატა დაიშალა.

ავსტრო-უნგრეთი. გალიციისა და ბუკოვინის რუსინმა დეპუტატებმა ლვოვში კონგრესი მოახდინეს და ავსტრიის მონარქიის კრიზისზე მოილაპარაკეს. კონგრესზე გამოირკვა, რომ ეხლა პოლონელებმაც უნგრეთის მაგალითს მიჰბაძეს, აგიტაცია გამართეს და გალიციის ავტონომიის გაფართოვებას ცდილობენ. ამას გარდა პოლონელები ცდილობენ, რომ გალიცია და ბუკოვინა შეაერთონ და ავსტრიისაგან დამოუკიდებელ ოლქად გახადონ. ამ ოლქს ავსტრიასთან საერთო მარტო მეფე უნდა ჰყავდეს. რუსინებმა ამ აგიტაციის წინააღმდეგ ძლიერი პროტესტი გამოაცხადეს და დაადგინეს, პოლონელების განზრახვას ყოველნაირად ვებრძოლოთო.

ახალი ამბავი

✦ შავის ზღვის პირად, სოხუმსა და სოჩაში, ამ დღეებში მიელიან გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს და ფინანსთა მინისტრად ნამყოფს, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ი. ვიტტეს.

✦ მთავარ-მართებლის განკარგულებით **ტფილისის გუბერნიაში მომრიგებელ შუამავლებათ დაინიშნენ:** სამსახურს გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი გოგნიაშვილი—თელავის მაზრაში, თელავის მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ჯანდიერი—დუშეთის მაზრაში, ქვემო მაჩხაანის ბოქაული ჯორჯაძე—თიანეთის მაზრაში, ბორჩალოს მომრიგებელი შუამავალი მურავიოვი—ახალციხის მაზრაში, ტფილისის სასტატისტიკო კომიტეტის მდივანი ბურნაშოვი—ტფილისის მაზრაში, სამსახურს გარეშე მყოფი ჟუკოვი—ახალქალაქის მაზრაში, სამსახურს გარეშე მყოფი მაჩაბელი—დუშეთის მაზრაში, სამსახურს გარეშე მყოფი თავ. ერისთავი—გორის მაზრაში და ოდესის უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებული თავ. ამირეჯიბი—გორის მაზრაში.

✦ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის მაზრებზე **გაანწერა საადგილ-მამულო** და სახელმწიფო გლეხების საიჯარო გადასახადი 1904—1906 წლებისათვის; ქუთაისის მაზრა: საიჯარო გადასახადი—39,032 მან. საადგილ-მამულო—12,272 მან., შორაპნის მაზრა: საიჯარო—25,562 მან., საადგილ-მამულო—8,897 მან., რაჭის მაზრა: საიჯარო—7,980 მ., საადგილ-მამულო—2,138 მ., ლეჩხუმის მაზრა: საიჯარო—2,472 მ., საადგილ-მამულო—3,155 მ., სენაკის მაზრა: საიჯარო—8,424 მ., საადგილ-მამულო—6,375 მან., ოზურგეთის მაზრა: საიჯარო—6,347 მან., საადგილ-მამულო—4,977 მ., ზუგდიდის მაზრა: საიჯარო—4,327 მან. საადგილ-მამულო—7,816 მ., სოხუმის ოლქი: საიჯარო—38,330 მ., საადგილ-მამულო—5,420 მ., ბათუმის ოლქი: საიჯარო—18,926 მ., საადგილ-მამულო—445 მ., და ართვინის ოლქი: საიჯარო—22,600 მან., საადგილ-მამულო—4 მან., სულ საიჯარო გადასახადი—174,000 მ., საადგილ-მამულო—52,499 მან.

✦ ჰფიქრობენ, ამიერ-კავკასიის **რკინის გზაზე ჯამაგირი მოუმატონ კონდუქტორებს**; თვეში თითოს 4—5 მანეთი.

✦ ნუხიდან გვატყობინებენ: 14 აგვისტოს, ღამის ორ საათზე, ნუხის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის გაძარცვა მოინდომა ხუთმა **შეიარაღებულმა კაცმა.** ყაჩაღებმა დაუწყეს ნგრევა კედლის იმ ნაწილს, სადაც ფულის ყუთი იდგა. მოდარაჯე ჯარის-კაცმა ვერ გაიგო იმათი მისვლა, რადგან შენობის სხვა მხარეს იდგა. ყაჩაღებს გამოეცალათ თუ არა კედლისათვის 7—8 აგური, თვალი მოეკრათ ამ ფოსტის უფროსის თანაშემწისათვის, რომელიც სტუმრად ყოფილიყო და სახლში ბრუნდებოდა. ავაზაკები გაქცეულიყვნენ. ფულად ამ დროს კონტორაში—100,000 მანათი ყოფილიყო.

✦ **კაგაგიდან გვწერენ:** 9 აგვისტოს აქ გაძარცვეს სომხების ეკკლესია. გაიტანეს როგორც ფული, ისე ოქრო-ვერცხლის ნივთები. როგორც აღმოჩნდა, ქურდობა ჩაიდინათ ამ ეკკლესიისავე მოსამსახურე რუსსა და იმის ამხანაგებს.

მეორე დღეს, 10 აგვისტოს, აქაურ რკინის გზის სადგურს დაესხნენ ავაზაკები, დაიწყეს თოფების სროლა და შეცვივდნენ კანტორაში, საიდანაც გაიტანეს ფული. ამბობენ, ავაზაკები ქისტები იყვნენო.

✦ „ნოვოე. ვრემიას" ნოვოროსსიკიდან დეპეშით ატყობინებენ: „15 აგვისტოს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი სოჩელ გლეხთა საქმის გამო. ამ გლეხებმა მარტში **აიღეს საპყრობილე და მოჰკლეს სოჩაში ერთი პოლიციელი.** ბრალი ედებოდა რვა კაცს. რვასავეს სასამართლომ მიუსაჯა პატიმართა გამასწორებელ **რაზმში გაგზავნა,** თითოს 1-დან 2 წლამდე.

✦ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეუთვალა შუკკერტისა და ამხ. გამგეობას, ნებას მოგცემთ მიხეილის ქუჩაზე მავთულების დასამაგრებლად ბოძები გამართოთ, თუ პოლიციის მე-10 ნაწილში თქვენის ხარჯით 4 **ელექტრონის ფარანს** დასდგამთ და ქუჩებს ნაშუაღამევის 2 საათამდე გაანათებთო. ფირმას უნდა, როგორც ახალ განცხადებიდანა სჩანს, მავთულები გაიყვანოს და ბოძები დადგას მიხეილის ქუჩაზე კიროჩნი ქუჩამდე და მიხეილის პროსპექტის მარჯვნივ და მარცხნივ ქუჩებზე ელისაბედის ქუჩამდე. ამის სამაგიეროდ ფირმა თანახმაა ოთხი ფარანის გარდა ოთხი სხვა ფარანიც დასდგას.

✦ 26 აგვისტოსთვის ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ნაძალადევში **ქალაქის მიწების იჯარით გასაცემად.** მიწების აღების მსურველი 140 კაცზე მეტია.

✦ გუშინ-წინ ნავთლუღელებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, რომ **ნავთლუღშიაც გაიყვანონ** წყლის მილი. გამგეობამ გუშინ ეს განცხადება გადასცა იმ განყოფილებას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის წყლის მილის მართვა-გამგეობა, და დაავალა, თავისი მოსაზრება წარუდგინოს ქალაქის მოურავს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა **პროექტი ინსტრუქციისა** გამგეობისა და იმის მოხელეთა სახელმძღვანელოდ.

✦ საქმე დომენტი კვაჰაძისა, ხარლამპი კავლარაძისა, და სხვა., რომელთაც **ფოსტის ხაზინის გაძარცვა** ჰბრალდებათ, განსახილველად დანიშნულია ქუთაისში 30 სექტემბრისათვის კი არა, როგორც აღნიშნული გვქონდა, არამედ 3 ოქტომბრისათვის. საქმის განხილვა გასტანს 20 ოქტომბრამდე, რადგან ას მოწმეზე მეტია დაბარებული.

✦ **გაწიაჯან (სენაკის მაზრა) გვწერენ:** მთავრობამ წინადადება მისცა გლეხებს, გაიღონ ხარჯი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დასაარსებლად და გზების შესაკეთებლად. გლეხებმა განაცხადეს, თუ თავადაზნაურობაც გაიღებს ხარჯს, ჩვენც მზადა ვართ, თუ არა და არა გვსურსო.

✦ **ფუნიკულერის ამხანაგობამ** უკვე გაჰგზავნა საზღვარ-გარედ თავისი წარმომადგენელი საჭირო მასალის შესაძენად. მაისამდე მასალას დაამზადებენ, მაისში მუშაობას შეუდგებიან და 1904 წლის აგვისტოსათვის ფუნიკულერს დაამთავრებენ.

✦ „ნოვ. ობ."-ს სწერენ კავკავიდან: „15 აგვისტოს სოფელ ეკაჟევოში გაჰგზავნეს 600 ჯარის-კაცი ყაჩაღების დასაჭერად და იარაღის მოსანახად. შიგ შუა სოფელში **ბრძოლა და თოფის სროლა გაიმართა.** მოჰკლეს ორი ყაზახი და ერთი ყაჩაღი".

✦ **კავკასიის მუზეუმის დირექტორის** თანამდებობაზე, როგორც „ტიფ. ლ."-ს ატყობინებენ, ორ კაცს ასახელებენ—ცნობილ მოგზაურს რგიმ-გრჟიმაილოსა და როტმისტრს კაზნაკოვს.

✦ **ვისაც უმოგზაურნია ფოსტით სიღ. ნუხისა და ქ. ნუხის შუა, ეგოდინება, რა გაჭირვებაში ცხენები ჰყავთ და ჩასაჯდომები აქვთ ფოსტის სადგურებზე. ნუხის ახლად დანიშნულ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს ა. მაჭავარიანს ამ საქმისთვის მიუქცევია ყურადღება და ცხენებისა და ეტლების სასწრაფოდ მთავრობისთვის საჭირო თანხა მოუთხოვნია. მთავრობას შეუწყნარებია ეს თხოვნა და მიუცია 15 ათასი მანეთი.**

✦ **ტფილისის წიგნების ვაჭრის მაგალითებრივ ამქრის უსტაბაშად გუშინ-წინ ამორჩეულ იქმნა ბ. გრიგალეგო.**

✦ **ტფილისის სახელოსნო გამგეობის განკარგულებით, იანკულ ბისკუნი, რომელსაც სადგომი და სარეწი ქარხანა აქვს გრიბოედოვის ქუჩაზე, მისუხის გებაში იქმნა მიცემული, სახელოსნო წესების დარღვევისათვის.**

✦ **საპერნი ქუჩაზე თავ. ერისთავი აშენებს ახალ სახლს. იქვე ბოდინოვის სახლი ისეა დაზიანებული, რომ დამის ჩამოინგრეს. პოლიციის ბოქაულმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას და სთხოვა გაეგზავნოს ქალაქის ხუროთ-მოძღვარი ამ სახლის შესამოწმებლად.**

✦ 15 აგვისტოს ოქროსკარიანში (დუშეთის მაზრა) მარიამობა დღეს დუშეთის მცხოვრებს ლ. ახალშენიშვილს ხმლით დაჭრია მკლავში დუშელივე მცხოვრები ყასაბი პაპავა. ამ დღესვე ვიღაცას ეკკლესიის ტრაპეზიდან ვერცხლის თასი მოუპარავს.

✦ 20 აგვისტოს მეეტლე № 694 ისე ძლიერ დაეტაკა მიმავალ ცხენის რკინის გზის ვაგონს, რომ ეტლი წაიქცა და შიგ მსხდომნი სპარსეთის ქვეშევრდომნი ყული ბეგ-ქერბალაი-ალი ასკარ-ბეგი-ოღლი და მელიქ ეგანოვი დაშავდნენ.

✦ 20 აგვისტოს წოვიანოვის სახლზე მომუშავე ანდრია ივანოვს, მუშაობისაგან დაღალულს, ჩასძინებია. ამ დროს მისულა ვიღაც ქურდი და მოუპარავს საათი, ფეხსაცმელი და სხვა ნივთები. ეჭვი მიიტანეს იოსებ ჯანკუმოვზე, რომელიც დააპატიმრეს.

რუსეთის ქრონიკა

✦ ქერჩის ქალაქის უფროსმა გამოაცხადა შემდეგი: რადგან ქალაქის ქუჩებში არეულობა დაიწყო, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჯარებს გამოვიწვევ არეულობის მოსასპობად, რომელიც, თუ საჭირო იქნა, იარაღს იხმარსო.

✦ ელისავეტგრადის გუბერნატორის განკარგულებით, შესდგა კრება ქარხნების და წისქვილების მეპატრონეთა, რომელმაც განიხილა საკითხი ამ ბოლო დროს მომხდარ მუშათა გაფიცვის შესახებ. გამოირკვა გაფიცვის მიზეზი. შეიმუშავეს ახალი წესები მუშებისათვის, რომელიც გუბერნატორმა დაამტკიცა და გამოაქვეყნა ყველა ქარხნებსა და სხვა სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეების საყურადღებოდ. ამას შემდეგ მუშები დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სამუშაოს. ქალაქში მშვიდობიანობა დამყარდა.

✦ კიევის გენერალ-გუბერნატორის დრაგომიროვის ბრძანებით დასჯილ იქმნებიან ქალაქში მომხდარ არეულობის მონაწილენი 53 კაცი სამი თვით, 35 კაცი—2 თვით, 11 კაცი—$1^1/_2$ თვით, 55 კაცი—1 თვით და 32 კაცი—სამი კვირით. ყველა დასჯილთა რიცხვი 186-ა.

✦ ფეოდოსიის ნავთ-სადგურის უფროსის განკარგულებით შემდგარია საბჭო საქონლის გამტან, საექსპორტო ფირმათა წარმომადგენლებისა, რომელმაც განიხილა საკითხი ნავთ-სადგურის მუშებსა და მათ დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების განწესრიგების შესახებ.

✦ მთელ რუსეთში სულ 278 საქარხნო სკოლა ყოფილა, რომლებშიაც 19,000 ბავშვი სწავლობს. თითო ბავშვის სწავლება საშუალო რიცხვით 16 მან. 76 კაპ. ჯდება წელიწადში.

✦ ფინანსთა მინისტრს დაუმტკიცებია პროექტი ქალაქის საურთიერთო წვრილ კრედიტის საზოგადოებისა, რომელიც ახალ დაწესებულებას წარმოადგენს რუსეთში. ქალაქის საბჭოს 50 ათასი მანეთი შეაქვს ამ საზოგადოებაში. ყველას შეუძლია ჩაეწეროს საზოგადოების წევრად; საწევრო გადასახადი 5—250 მანეთამდეა. ყოველ წევრს კრედიტს გაუხსნიან და შეუძლია ათი იმდენი გამოიტანოს, რამდენიც შეუტანია.

✦ სენატმა განმარტა საკითხი იმის შესახებ, აქვთ თუ არა უფლება პრესსის წარმომადგენელთ დაესწრონ საქალაქო, საზოგადო, საერობო და სხვა და სხვა წოდებათა კრებებს. სენატის განმარტებით, კრების თავმჯდომარეთ არა აქვთ განუსაზღვრელი უფლება არ დაუშვან გარეშე პირები კრებებზე; მათ შეუძლიათ მხოლოდ არ დაუშვან ისინი კრების წევრთა თათბირზე. რაც შეეხება გაზეთების კორესპონდენტებს, სენატმა განმარტა, რომ საჭიროა დაესწრნენ ისინი ყველა კრებებს, რადგან ამ გზით საზოგადოებას შეძლება ექნება თვალ-ყური ადევნოს საზოგადო დაწესებულებათა მოქმედებას.

✦ სუმის სამაზრო ერობას გადაუწყვეტია გამართოს ტელეფონი მაზრაში, რომელიც შეაერთებს ქ. სუმსა და ყველა სასოფლო სამმართველოთ. ტელეფონი 234 ვერსის მანძილზე გაიმართება.

პრესსა

ჩვენის გაზეთის გუშინდელ ნომერში მოყვანილი გვქონდა ბ-ნ. ს—ნის აზრი რკინის გზის სახელოსნოებში მუშათა მდგომარეობის შესახებ. ამავე საკითხს ეხება თ-დი მეშჩერსკიც თავის გაზეთში და ამბობს:

ყველამ ვიცით, რომ ამ ბოლო დროს რუსეთის რკინის გზების სახელოსნოებში პატარა რესპუბლიკები გაიმართა, რომელნიც წარმოადგენენ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის სათავეს. ზოგ სახელოსნოებში მუშები სჩადიან იმას, რაც სურთ, ზოგში კი—სახელოსნოთა გამგეობანი. პირველ შემთხვევაში მუშები უდისციპლინობის მიზეზით, პოლიტიკურ აგიტატორების ხელში იმყოფებიან და უწესოებას მეთაურობენ, როგორც უკვე დამტკიცდა ოდესაში, ბაქოში, ეკატერინოსლავსა და კიევში მომხდარ არეულობის დროს. იმ სახელოსნოებში-კი, სადაც გამგეობა თავის ნებას ასრულებს, მუშები, კანონიერ მფარველობას მოშორებულნი, გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ცხადია, რომ აქაც ჩნდება არეულობის ბუდე, რომელსაც შევიწროებულ მუშათა მდგომარეობა შეჰქმნის ხოლმე.

დღემდის რკინის გზების სახელოსნოები პოლიციისა და საქარხნო ინსპექციის ზედამხედველობის გარეშე იყვნენ. მე გავიგე, რომ ამ გარემოებას უკვე მიაქცია ყურადღება მთავრობამ და განზრახვა აქვს, რკინის გზების სახელოსნოები სხვა სამრეწველო დაწესებულებათა მსგავსად, დაუქვემდებაროს გუბერნატორებისა და საქარხნო ინსპექციების ზედამხედველობას.

* *
*

ბევრი თქმულა და დაწერილა მასწავლებელთა მომზადებაზე, იმაზე, თუ რა უგულოდ, „ჩინოვნიკურად" ეკიდებიან ისინი თავის საქმეს. ყველა ეს არ ახალია,—ძველია, უკეთ რომ ვსთქვათ—ძველი და თან ყოველთვის ახალი ამბავია. ერთ ამნაირ მასწავლებელთაგანის გოდებაა დაბეჭდილი „პეტ. ვედ."-ში სახელდობრ—მასწავლებლის დღიური ბ-ნ ლავროვისა. ეს დღიური იმით არის საყურადღებო, რომ შიგ სავსებით არის გამოსახული ტიპიური მასწავლებელი, უგულოდ აღმასრულებელი თავის თანამდებობისა, რომელიც მას ბრმა ბედმა არგუნა. ბ-ნი ლავროვი გამწესეს ქ. №-ის გიმნაზიაში მასწავლებლად.

დაიწყო სწავლაო,—ამბობს იგი,—იმ თავიდანვე როგორღაც გაჭირვებით. მოწაფეებს სწავლისადმი ლტოლვილება არ ეტყობოდათ. ყველაზე

უფრო ის აინტერესებდათ, თუ რა ნიშნებს დაუსვამდი მე იმათ. ამ ნიშნების ერთმანეთშორის განსხვავებას აქცევდნენ ყურადღებას და სხვას არაფერს. მძიმე სატანჯველი გამოვიარე. სწორედ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდეს იმათ—საოცარი უვიცობა, მოუმზადებლობა, უგულოდ შეთვისება გაკვეთილისა—ყველა ეს ერთად გულს მიკლავდა და მაჯავრებდა უზომოდ. იმაზე არაფერს ვიტყვი, თუ რა საშინელის შეცდომებით იყო სავსე მათი ნაწერი, მოწაფეებს არაფერი ეტყობოდათ განვითარებისა, გაღვიძებულ გონების ნიშან-წყალიც არ ემჩნეოდათ. მახსოვს, ერთხელ ხელოვნურ ნაწერების შესახებ ჩამოვაგდე საუბარი, მოვიყვანე პოეტ ფეტის ცნობილი ლექსი და ვკითხე იმათ, როგორ მოგწონთ ეს ლექსი-მეთქი. სრულებით არ მოგვწონსო, ერთხმად დაიძახეს მოწაფეებმა. აი, ამისთანა მსმენელთა თავში უნდა ჩამენერგა მეცნიერება, სხვა და სხვანაირი ცოდნა, გარჩევა კეთილისა და ბოროტის, ხელოვნურისა და უხელოვნოსი.

რანაირად უნდა გავმკლავებოდი ამ უვიცობას და გრძნობათა სიჩლუნგეს, ვისი იმედი უნდა მქონოდა, ვინ მიშველიდა ამ მძიმე გასაჭირში?

ვეცადე, კლასს გარეშე წიგნების კითხვას შეჩვეოდნენ მოწაფეები. მაგრამ აქაც ვერა გავაწყვე-რა. მოწაფეთა წიგნთ-საცავში გიმნაზიებში სასტიკი წესებია შემოღებული,—მოწაფეთ, რომელნიც ლიტერატურის ისტორიას სწავლობენ, არ აძლევენ დოსტოევსკის, ტურგენევის და სხვა სახელგანთქმულ მწერალთა ნაწარმოებს. თეატრში ხომ სულ არ უშვებენ შეგირდებს და ვინც გაბედავს და ნება-დაურთველად წავა, კარცერში ამწყვდევენ.

ამნაირად ჰგოდებს იერემიასავით ბ-ნი ლავროვი თავის მწარე ბედ-იღბალზე და ამხელს გაზეთის ფურცლებზე იმას, რაც სხვა მასწავლებლებს გულის ყველა კუნჭულებში აქვთ დამარხული. ამ მხრივ ბ-ნი ლავროვი საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ცხოვრებაში, რომელსაც ფრანგები l'enfant terrible-ს უძახიან, ე. ი. იმისთანა ბავშვს, რომელიც მოზრდილთა საიდუმლოს გამომჟღავნებს ხოლმე საზოგადოებაში. ლავროვი ამჟღავნებს იმას, რასაც მისი მოზრდილი, გამოცდილი პედაგოგები მალავენ. ბ-ნი ლავროვი გულ-უბრყვილოთ მოგვითხრობს ყველაფერს.

ბ-ნმა ლავროვმა მიჰმართა ბოლოს ერთ თავის ამხანაგს, გამოცდილ პედაგოგს, რჩევისთვის. მოსწავლეები უყურადღებოდ მეკიდებიან და არ ვიცი, რა ღონე უნდა ვიღონო, რომ მოვაგრჯულო ისინიო. გამოცდილმა პედაგოგმა არც აცივა, არც აცხელა და პირდაპირ მიახალა ლავროვს.

— ინსპექტორთან გაჰგზავნეთ ხოლმეო. მოჩრა და გათავდა.

— როგორ თუ ინსპექტორთან?—გაკვირვებით ვკითხე იმას.

— კლასიდან გააგდეთ და ინსპექტორი ასწავლის იმას ჭკუას, გულ-მშვიდად მიპასუხა პედაგოგმა. მახსოვს, როგორ გამაკვირვა მაშინ ჩემი გამოცდილი ამხანაგის სიტყვებმა, შემდეგ კი, მალლას—შევუდექი მეც ამ პედაგოგისგან ნაჩვენებ ნატკეპნ გზას, ვგზავნიდი შეგირდებს ინსპექტორთან, რომელიც, რასაკვირველია, „ჭკუას ასწავლიდა იმათ“.

მკითხველს გულზე ლოდი დაადო ბ-ნი ლავროვის აღსარებამ. უხალისო, უძლური და უიმედო სულიერი წარმოგვიდგა თვალწინ და ამისთანა სულიერს ბედმა არგუნა მძიმე და პასუხსაგები საქმე ახალგაზრდათა აღზრდა-განათლება. რა საცოდავათ დასტირის ბ-ნი ლავროვი თავის ბედ-იღბალს. მკურნალი ავადმყოფთ სჭირდებათ და არა კარგა-მყოფთო. დღევანდელი სულთა მკურნალი, ლავროვისებური ჯიშისა, ავადმყოფთან რომ დაუძახებენ და მოვალეობის ასრულების დრო დაუდგება, მოჰყვება გოდებას: ღმერთო, რა სატანჯველში ჩავვარდიო. ავადმყოფს კუჭი წამხდარი ჰქონია, მადა დაკარგული, გულის ფრიალი სჭირს, სისხლმანკიერი არსებაა, მერე რა უხალისოდ მიცქერის თვალებში, არაფერ შველას არ მოელის ჩემგან. რა უნდა ვუშველო მე იმას? სჯობს ისევ პატრონს ჩაბარდეს ეს საცოდავიო.

თეატრი

ერიდვი. ათი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ მეზობელ სოფლებში ზაფხულობით წარმოდგენები იმართება სცენის-მოყვარეთა მიერ. ჩვენ სოფელს ბევრა და ბევრ ადგილსა წარმოდგენა წრეგაზიდამდის. ამ ზაფხულს-კი ახალგაზდობამ აქაც გამართა უფასო წარმოდგენა. ორი კვირის წინად მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ერედვში წარმოდგენა იმართება. გლეხ-კაცობამ, კაცმა თუ ქალმა, ამ გარემოებას გულ-გრილად და გჭვის თვალით შეხედა. აქეთ-იქიდან სხვა-და-სხვა უკმაყოფილო ლაპარაკი ისმოდა: „ახლა მაგეებშიაც წაგვართვან ფულები, თორემ ისე ხომ ცოტასა გვგლეჯენ უოგლის მხრიდან“ გაჯავრებული ამბობდა ერთი გლეხი, რომელსაც ვერ გაეგო, რომ წარმოდგენა უფასო იყო. „არა, შვილო, მამაჩემი არა უთქვია წარმოდგენაში და პაპაჩემი; რა მინდა, რა დამრჩენია ი რაღაც წარმოდგენაში! მაშ წინად ხალხი არა უთქვია, რომ მაგეებისა არა იცოდა-რა! ეჰ, შვილო, წახდა ქვეყანა, წახდა!!“ ეუბნებოდა მეორე გლეხი თავის შვილს, რომელიც ეხვეწებოდა, წარმოდგენაში გამიშვიო. „უი, გენაცვალეთ, წარმოდგენაში რა წაიყვანს! თურმე იცი, ქალო, იქ ჭვედას ჰკრავდიან: წარმოიდგინე რამეო; მე აბა რა ჯანაბა ვიცი, როგორ უნდა წარმოვიდგინო იმათი რაღაც თვალთ-მაქცობა და თილისმები“—ეუბნებოდა ერთი დედაკაცი ქვრივს, რომელმაც პასუხად მიუგო: „ეგ კიდევ არაფერი, ქალო, თურმე „თრიატი“ რომ გაიმართება, უბედურმა ჩემმა ქმარმა მიამბო ერთხელ, ერთმანეთში აირევიან კაცი და ქალი და გინ-ვის აკოცებს, გინ-ვისა, ეგ ბერის-ჯვარმა მატიოსანმა იცის! აბა გენაცვალეთ, იქ რა წაიყვანს! უწინამც ფეხები დამტვრევია იქ წამსვლელს!!“

გათენდა მარიამობისთვის ათი, რა დღესაც წარმოდგენა უნდა ეთქმდეთ. დილით ორმა მოთამაშემ უბან-უბან დაიარეს და ყველას უთხრეს, რომ წარმოდგენა უფასოაო. ეხვეწებოდნენ, რომ მოსულიყვნენ და ენახათ თავიანთ თვალით, რა არის წარმოდგენა. მართლაც, მოთამაშეების ასეომა ცდამ უნაყოფოთ არ ჩაიარა. წარმოდგენას გლეხ-კაცობა ბლომად დაესწრო. ბევრი იცინეს და ძალიან კმაყოფილი დაბრუნდნენ სახლში, რადგან მხიარული პიესები შეერჩიათ მოთამაშეთ და კარგათაც შეასრულეს უმთავრესი როლები. თუმცა ზოგიერთნი კოჭლობდნენ, მაგრამ საერთოდ ეტყობოდა, რომ მოთამაშენი გულ-წრფელად მოეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს. წარმოადგინეს „მზეთუნახავის მეზობელი“ ა. ცაგარელისა და „დეტრიალდა ჯარა“ გ. ყიფიანისა. ყველაზე უფრო „სოსიამ“ აცინა ხალხი.

ასე კარგად ჩაიარა ამ პირველმა წარმოდგენამ.

მე

წერილი იმერეთიდან

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

9 აგვისტოს გაიხსნა აქ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც გამართა ქუტაისელთა აქაურმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ. ბაღდადის პირად მდებარე ადგილებში სასოფლო მეურნეობა ხალხის სიმდიდრის ერთი უმთავრესი წყაროა. გამოფენამ ცხადად დაანახვა ყველას, რომ მეურნეობა აქ რაციონალურ ნიადაგზეა დამყარებული, რომ მწარმოებელთ უკვე შეუძლიათ ის თანამედროვე საშუალებანი და იარაღი, რომლის წყალობითაც სასოფლო-მეურნეობა შემოსავლიანი და ხელსაყრელია.

გამოფენამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა. თითქმის ყველა სოფლებიდან მოაწყდა ხალხი, ასე რომ 9 აგვისტოს და 12-მდის (გამოფენა სამ დღეს გაგრძელდა) აქაურ სასტუმროებსა, რესტორანებსა და ბაღებში თავისუფალი ადგილი არ იშოვებოდა, რაიც აქ ძლიერ იშვიათია. გამოფენის გამმართავ საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძლიერ გულმოდგინედ და მხნედ შეუდგომოდა მოვალეობის ასრულებას. სხვათა შორის, იმან გამოფენის წინ დაეგზავნა სოფლებში აფიშები და განცხადებები, რომ ხალხისათვის შეეტყობინებინა გამოფენის გამართვა. ეტყობა, კარგად ჰქონია შეგნებული ამისთანა გამოფენების დანიშნულება: ჰმართავს გამოფენას არა ქადაქის მცხოვრებთა ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ მწარმოებელთა სასარგებლოდ.

გ—მ—ე.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). აქაური საზოგადოება, როგორც იქმნა, 10 აგვისტოს ყიდისა იმ 2000 მან. მეტის გადახდებას, რომელიც დაბის 10 წლ. შემოსავალ-გასავლის ანგარიშების გამომრკვეველმა კომისიამ აღმოაჩინა აქაურ „მამების“ ხელში. კომისია მუშაობას დანიშნულ დროს მორჩა (10 მაისს) და გამოცხადება მიანდო ბოქაულს მაისურაძეს (სარევიზიო კომისიის წევრია), მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ხსენებულ რიცხვამდე ვერარ გამოაცხადა. ამას წინად ვწერდით, რომ 10—15 ხელოსნისა და ვაჭრებისგან მომხდარმა კრებამ აქაურ ქარგლებს, ნოქრებსა და შეგირდებს კვირა-უქმეობით წირვის მოსმენისათვის 3 საათის მოსვენება მიანიჭა. აი, ამ 10—15 კაცის ლიტონ სიტყვამ განსწირა და ხსენებული დადგენილება დღემდე სრულდება. ხოლო ის განაწესი, რომელიც აქაურმა ხელოსნებმა და ვაჭრებმა დაადგინეს, რომ კვირა-უქმეობით დილის 9—12 საათამდის და ნაშუადღევის 3 საათიდან ორშაბათ დილამდის დუქნები დაკეტილი იყოს, განისვენებს წიაღსა შინა აბრამისასა და არ ვიცით, რას მივაწეროთ.

კარგის მოსავლის მოლოდინე გლეხობა ერთბაშად დაიღონა 5 აგვისტოს ამოვარდნილმა აღმოსავლეთის ქარმა, რომელმაც მეორე დღის შუადღემდის გასტანა. ქარმა დიდი ზარალი მიაყენა ნათესს: სიმინდის უმრავლესობა ძირს დასცა. მდინარეები შესამჩნევად აღიდა.

სანდრო.

—

დ. ზუგდიდი. ამ დღეებში აქ ჩიმოვიდა ერთი ახალგაზდა კაცი, რომელმაც გარეგნობით მალე მიიქცია აქაურების ყურადღება. ბაღში სეირნობის დროს შეჰხვდა ერთ აქაურს და უთხრა, მე ვკეთებ ყალბ ქაღალდის ფულს და თუ თქვენ ათ ას-ას მანეთიანს მომიტანთ, მე ხვალ დილას ოცდა-ათ ას მანეთიანს ჩაგაბარებთო: მე, მართალია, ყალბ ფულს ვკეთებ, მაგრამ თვითონ კი ყალბი არა ვარო და რომ რამე ეჭვი არ შემოიტანოთ ჩემზე, ფულები მუდამ თქვენს ხელში იყოსო. № დასთანხმდა, მოუტანა ფული და შეუდგნენ საქმეს ერთ აქაურ სასტუმროში, სადაც „ფულის მცხობელი“ ვეჯიტანი იყო ჩამომხტარი. „ოსტატმა“ აიღო ერთი ას მანეთიანი, ზედ დააკრა თეთრი ქაღალდი, დაატრიალა რაღაც ეშმაკეული მანქანა და შთაინთქა ეს ას მანეთიანი, შემდეგ მეორე, მესამე და ამ რიგად ამ ათ, ას მანეთიანს მანქანაში ამოუყოფინა თავი. ბოლოს ჩააბარა №-ს და უთხრა: „ამაღამ თბილ ადგილს შეინახე, ხვალ დილისთვის ფული მზათ იქმნება, თუ თქვენი მოტანილი ფული ჩემს გაკეთებულებში ვერ გამოარჩიოთ, მაშინ თქვენი ათასი მანეთი მე მქონდეს და ჩემ მიერ გაკეთებული ხამი ათასი მანეთი თქვენ გქონდეთ“. №-ც დასთანხმდა. მეორე დილას დიდ ხანს ეძია ფულის შექმნის მსურველმა „ფულის მცხობელს“, მაგრამ ეს უკანასკნელი არსად სჩანდა. ბოლოს გადაწყვიტა, ეგები გატეხა, გასტეხა კიდეც, მაგრამ, შიგ არამც თუ ახალი ფული, ძველი, იმისი ფულიც აღარ აღმოაჩნდა: თურმე „ფულის მცხობელმა“ იმავ დამეს დაიქირავა ეტლი თხუთმეტ მანეთად და სენაკში ამოჰყო თავი, ხოლო იქიდან, ალბად, თავის გზას გაუდგებოდა. ამ ნაირად დარჩა პირში ჩალა გამოვლებული და ხახა გამშრალი ჩვენი ფულის შექმნის მსურველი ვაჟბატონი. მოტყუებული ვაჟ-ბატონი კარგი „წარჩინებული“ და შეძლებული კაცია.

ქარი.

—

ალავირი (ოსეთი). ჩვენში თანდათან მატულობს ქურდობა და ავკაცობა. 11 აგვისტოს ყაჩაღები დაესხნენ შვიდ მეურმეს, სადიგურელის თესებს, რომელთაც ხილი ჩაეტანათ დარკახში და შინ მოდიოდნენ. ყაჩაღები დაესხნენ ღამის 11 საათზე. სულ 12 შეაიარაღებული კაცი ყოფილა. გზა გადუღობავთ და ბილეთები მოუთხოვნიათ. მერე ძარცვას შესდგომიან. ჯერ მისულან იმ ურმთან, რომელზედაც ერთი ქართველი კაცი მჯდარა, და წაურთმევიათ 150 მანეთი, შემდეგ შვიდი ცხენი ურმებიდან გამოუშვიათ და წაუყვანიათ. მიდევნეს დაედევნა, მაგრამ კვალიც კი აღარსად აღმოჩნდა.

5 აგვისტოს, როცა აქაური მცხოვრები მაისურაძე ახალ გარდაცვალებულ მამას თავს დასტიროდა, ვიღაცამ იდროვა და იმისი ცხენი ტყეში გაიტაცა. ჩვენში თუ საქონელი თვალს მოეფარა, პატრონს იმედი ეკარგება. მაგრამ ეხლა სხვანაირად მოხდა. მესამე დღეს ვიღაც მოვიდა მაისურაძესთან და უთხრა, ცხენს რატომ არ ეძებო. ამ კაცს მიუცია იმედი და გაიგებულიან 13 მანეთად. ადგილი ტყეში დაუნიშნავთ. ცხენის პატრონი მარტოკა ადნიშნულის ფულით მართლაც წასულა ტყეში ღამის 10 საათზე. ორ კაცს ცხენი დაუხვედრებია, მაგრამ ამ ფულს არ დასჯერებნენ და ჯიბეების ჩხრეკა დაიწყეს. ცხენის პატრონს მეტი ფული არ აღმოაჩნდა.

ჩვენში კარგი დარებია ამჟამად, მხოლოდ თიბვა-მკაზე ძლიერ შეაფერხა წვიმიანმა ამინდებმა. მოსავალი, ჩვენში კარგია, თუ სიმინდს რამე შემოდგომა არ დაუდგა. წელს აქედან ძლიერ ცოტა სიმინდი მიდის რაჭაში, რადგან აქაც ძალიან ძვირია: ფუთი არა ნაკლებ 50 კაპ. მერე ფასობს ფუთი ოთხ აბაზიდან მანეთამდე. მიზეზი სიძვირისა ის არის, რომ მეიჯარადრეებმა გაზიდეს რკინის გზით.

ივანე ჩიკვილაძე

—

სოფ. ქართალი (ქართლი). როგორც საზოგადოდ ყველგან, მთაში, ქართლის საზოგადოებაშიაც იციან ხატობა-სამლოცველოები ზაფხულობით. ხატობა-სამლოცველოებში ძლიერ ეტანებიან მინაურ არყის სმას, რის მიზეზითაც ჩხუბი ხდება ხოლმე უბედურებანი. ამას წინად სოფლის ჭირთაულმა ხატობა სამლოცველოს გამართა. სამლოცველოს ჯგრძნობით მშვიდად მიდიოდა, და ხალხიც უხვად ქეიფობდა შინ ნახსენს. საუბედუროდ, ხადამის ხანში რომ მოატანა, ერთმა თავზე ხელ-აღებულმა ყმაწვილმა კაცმა, ქიტესა შადიაშვილმა იძრო დიდი ჯიბის დანა და დასცა მუცელში თავის მეზობელს, გიორგი პაპიაშვილს, და გადმოაყრევინა ნაწლავები. საბრალო პაპიაშვილმა ერთი დღე-და იცოცხლა. სამლოცველოში მყოფი მოინდომეს კაცის მკვლელის დაჭერა, იგრიალეს და მისცვივდნენ. თქვენი მტერი, რომ იმასაც იქვე ჩაჰქოლავდნენ, რომ ადგილობრივი მღვდელი სვიმონ პაპურაძე არ მიეშველებოდა და არ დაეშოშმინებინა ხალხი. როგორც ამბობენ, მკვლელს და მოკლულს წინად ერთ ხატობაში ჩხუბი მოსვლოდათ და ერთმანეთის ჯავრი სჭირებიათ. კაცის მკვლელი შადიაშვილი ამ ჟამად დაპატიმრებულია.

არაგვის ხეობაში წელს მოსავალი საშუალოზე მეტია; თივის მოსავალი მშვენიერია. ტყის ხიდეულობა ძლიერ კარგია.

მგზავრი

—

სოფ. შუაფხო (მთა). ამ თვის პირველ რიცხვებში აქ მოხდა ერთი მკვლელობა. ერთ მოხუც ქვრივს, ბუწუნა ჯიხვიაშვილს, დამე შეუცვივდა ორი თავზე-ხელ-აღებული კაცი, რომელთაც მოხუცი დაახრჩეს და წაიღეს ოთხასი თუმანი. მკვლელნი აღმოაჩინეს, ორივე ადგილობრივი ფშაველები ყოფილან.

მიმსვლელი

—

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). ბევრს ქურდობენ ჯაარახელი ქისტები და ბევრს თავინებს ჩხაიდან თვით ოსების სოფლებში. ოსებს კი რომ ქისტებისათვის მოეპაროთ რამე, ძალიან იშვიათია. და აი ამ თვის ცხრაში ერთი თავ-ნება უცებს ოსებმა ჯაარახელებს. დარის კიდმა ჯაარახელებს ცხენის ჯოგი ედგათ. ღამე მიეპარნენ ოსები ქისტებს, მოიპარეს თორმეტი ცხენი და გაუყვნენ სანების ხეობისაკენ. მეორე დღეს ოდამდის ქისტი გაჰყვა კვალს. ქისტები ძალიან დაემუქრნენ ოსებს, „თითო ცხენზე თრ-თრ კაცს მოგკლავთო.“

ქართველი ოსებში.

—

სოფელი ერედვი (ქართლი). ჩვენსკენ გასურებული კალოობაა. ამინდიც სწორედ კალოსი გვაქვს. გლეწავთ, მაგრამ ჭირნახულს შესამჩნევად ნაკლები გამოსავალი აქვს. მიზეზი ამისა, ჯერ ერთი, ის არის, რომ წელს მოსავალს ძალიან ბალახი მოჰყვა, მეორეც ისა, რომ ბარე სამჯერ დავისეტყვენით. მით უმეტესად ეწყინება აქაური ხალხი მორჩეს კალოობას, რომ მარიამობის თვის უკანასკნელ რიცხვებში ს. არბოში მოდის დიდი დღეობა—ღვრისთობა, სადაც დიდძალი ხალხი იყრიბება ხოლმე სალოცავად და დროს გასატარებლად.

ამ გასურებულ მუშაობის დროს ძალიან გააშორებულია ჩვენსკენ საქონლის ავადმყოფობა—თურქული. ზოგიერთს, ისედაც გაჭირვებულს გლეხ-კაცს, დაუხოცა სამუშაო საქონელი ამ ცეცხლის კიდების დროს და დარჩა გულ-ხელ დაკრეფილი.

ყაჩაღების შესახებ აღარაფერი ისმის. ერთი პირობა-კი ძალიან შეგვშინდით. როგორ არ უნდა შეგვშინებოდა მას შემდეგ, რაც სურამში ამბავი მოხდა... ან ეხლა მოვლენ, აიკლებენ ვისმეს და ან ეხლაო. მით უმეტესად გვეშინოდა, რომ იმ ყაჩაღების ხმით და სახელით სხვა ოსებიც თავ-ზარსა სცემდნენ მცხოვრებლებს. ეხლა კი სრული მშვიდობიანობაა.

მე

სასამართლო

გაძარცვა.

გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ოზურგეთის მაზრის სოფელ მამათის მცხოვრების ლეკან დავითისძის ქუთარაძისა, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდა. 1902 წელს, 16 ნოემბერს, სოფელ წითელ-მთის მცხოვრები, სამოცის წლის მოხუცი, ტრიფონ ხიტეიშვილი ოზურგეთში ჩასულა რაღაც საქმისთვის. ხიტეიშვილს, სხვათა შორის, კაპიტონ დომინაძის დუქანში უყიდნია პური და პაპიროზი და ნაღდ სანოვაგის გასასტუმრებლად მიუცია ოქროს თუმნიანი. ხიტეიშვილს იქვე დუქანში დაუნახავს ახალგაზრდა ბიჭი. როცა ხიტეიშვილს მიუღია ხურდა ფული, გამოსულა და სოფლისაკენ გზას დასდგომია. როცა ერთს ვერსზე დაშორებია ოზურგეთს, შეუნიშნავს, რომ უკან მისდევდა ის კაცი, რომელიც ბ-ნ დომინაძის დუქანში იყო. უცნობი მისწევნია და უთხოვნია, მასწავლე გზა სოფელ შემოქმედისაკენაო, და შემ-

დეგ განმარტება: როდესაც ნიტკომშვილი მიახლოვებია მდინარე მტკვრის ტოტს, უცნობი ჩუმად მიჰპარვია უკანიდან, უტაცნია ყელში ხელი, წაუჭერია და უთქვამს: „მოიტა რაცა გაქვს ფული“. ამასთან ქვა დაურტყამს, რის გამოც ნიტკომშვილს გრძნობა დაჰკარგვია და როცა გონს მოსულა, უნახავს, რომ ბოროტ-მოქმედს გაუხსნია იმისი ჯიბე და ფული წაუღია. ეს უცნობი კაცი შემდეგში შეუპყრიათ. იგი აღმოჩნდა მამათის მცხოვრები დევან ქავთარაძე. როდესაც ეს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, ქავთარაძე დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა უფლებისაგან უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 4 წლით კატორღაში გაგზავნა. გუშინ, 21 აგვისტოს, ეს საქმე სამოსამართლო პალატამ განიხილა, რომელმაც უცვლელად დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

სხვა და სხვა ამბები

საპარლამენტო არჩევნები და ქალები. ავსტრალიაში ქალები დღითი-დღე იმარჯვებენ. ახალ ზელანდიასა და ავსტრალიის ზოგიერთ შტატში ქალებმა მოიპოვეს უფლებანი საპარლამენტო არჩევანში მონაწილეობის მიღებისა. სხვათა შორის, ადელაიდის შტატის ქალებმა წელს პირველად უნდა მიიღონ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში. შემდგარა ქალთა საარჩევნო კომიტეტი, რომელსაც შეუმუშავებია საკუთარი პროგრამა. ქალები თავიანთ პროგრამით თხოულობენ: 1. კანონის წინაშე დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობას; დედაკაცს მამაკაცსავით უნდა შეეძლოს ყველა სახელმწიფო თანამდებობის მიღება; 2. ოპიუმის შემოტანის აღკრძალვას და ალკოჰოლის გაჭრობის შეზღუდვას; 3. იმას, რომ ყველა უთანხმოება, ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული, გადასწყვიტოს სახელმწიფო სამედიატორო სასამართლომ. შემდეგ ბამოთვლილია სხვა მოთხოვნილებანიც. სხვათა შორის, ქალები თხოულობენ ჯარისა და ფლოტის რეორგანიზაციას. ყველას აინტერესებს, რა გავლენას იქონიებს არჩევნებზე ქალთა მონაწილეობა.

ახალ ზელანდიაში ქალებს საარჩევნო უფლებანი მიენიჭათ 1893 წელს, სამხრეთ ავსტრალიაში—1895 წელს. ამ ადგილებში ქალებს ნაკლებად აინტერესებს ის, თუ ვინ იქმნება არჩეული მთავრობის მეთაურად სელდონი თუ ბარტონი. ქალები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ მუშათა სამუშაოს ფასის მომატებას, ზნეობის ამაღლებას, ლოთობის მოსპობას და სხვას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აგვისტო

მოგილევი. მებაღეობის საიმპერატორო საზოგადოების მოგილიოვის განყოფილება მებაღეობის განყოფილებას 10 სექტემბერს გახსნის.

პავლოვო (სოფელია ნიჟეგოროდის გუბერნიაში). ნიჟნინოვგოროდში შინა მრეწველობის გამოფენაზე ცოტა ხალხი დაიარებოდა: 8 დღეში 3,500 კაცმა ნახა. პავლოვის შინა-მრეწველები დიდის ინტერესით დაიარებიან გამოფენაზე: პირველ დღეს გამოფენის სანახავად 3,588 შინა-მრეწველი მოვიდა.

ბელოსტოკი. პოლიცმეისტერს მეტლენს, რომელიც ცეცხლის ჩაქრობას დაესწრო და შინ მიდიოდა, ერთმა უცნობმა ბოროტ-განმზრახველმა ორჯერ ესროლა რევოლვერი. პოლიცმეისტერი უვნებლად გადარჩა, მეეტლე კი მძიმედაა დაჭრილი.

ეკატერინოსლავი. გუბერნიის საერობო, მთა-მადნის, ქარხნების და ფაბრიკების ექიმთა კრება გაიხსნა.

ხაბაროვსკი. ხაბაროვსკის კრების ყველა სექცია მხნედ მუშაობს. სხდომები დღეში ორჯელ იმართება. შუაღამემდე გაცხარებით კამათობენ. ყველაზე მეტი შრომა შეჰხვდა პირველ სექციას შჩერბინას თავმჯდომარეობით. მეოთხე სექციამაც ბევრი იმუშავა. ეს სექცია იხილავდა ვაჭრობისა, გზებისა, ფოსტისა, ტელეგრაფისა, მრეწველობისა და გადმოსახლების საქმესა და სხვ. ყვითელი მოდგმა,—როგორც საფრთხე და ყვითელი მოდგმა, როგორც მუშა ხალხი, ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის გავლენა,—აი უმთავრესად ამ საგნებზე აქვთ კამათი. კრებამ ერთხმად დაადგინა, პრიამურის ოლქისათვის აუცილებლად ამურის რკინის გზა უნდა აშენდეს და ამურის ახლად ნაპოვნი ფარვატერი გაიწმინდოს. გენერალ-მაიორის სუბოტიჩის ხელ-მძღვანელობით ხუთი საზოგადო კრება მოხდა; ხუთვე კრების დროს მეტად ცხარე ხანგრძლივი კამათი გაიმართა. კრების შრომის ბეჭდვას შეუდგნენ კრების მდივნის, კამჩატკის ცნობილ მკვლევარის სლიუნინის რედაქციით.

სოფია. მონასტირის ვილაეტში აჯანყებულთ, რომელთაც დაბა-სოფლები ეჭირათ, ყველგან უკან დაიხიეს. ოსმალებმა და ალბანელებმა რამდენიმე სოფელი გაძარცვეს; ვალიმ გამოაცხადა, აჯანყება მოისპოო; ნამდვილად კი აჯანყებულნი მთებში გამაგრდებიან. კრუშევილმა ბერძნებმა და კუცო-სალახებმა ადგილობრივ კონსულს საჩივარი წარუდგინეს და გამოუცხადეს, რომ ოსმალებმა და ალბანელებმა ბევრი ხალხი გაძარცვეს და დახოცეს, ბევრი სიმხეცე და ძალ-მომრეობა ჩაიდინესო. როცა ოსმალოს ჯარმა კრუშევო აიღო, ხუთის დღის განმავლობაში ყველაფრის ნება ჰქონდა მიცემული. ამის შემდეგ ქალაქში ბახტიარ-ფაშა შემოვიდა. კრუშეველებს 100 მილიონ ფრანკზე მეტი ზარალი მოუვიდათ.—დობრას მაზრაში ყველა სოფელი დასწვეს; ალბანელები სძარცვავენ და სწვავენ ყველაფერს.—ზოგიერთი ჟურნალი იუწყება, 19 აგვისტოს, ხონთქრის ტახტზე ასვლის დღეს ბოლგარებს ახალი აჯანყება უნდა მოეხდინათ სტრუმიცის მთაში ცონჩევის წინამძღოლობით, ბონსკოში იანკოვის წინამძღოლობით და მალეშოვში.—აღმოსავლეთ რკინის გზების დირექცია იუწყება, რომ მატარებელი „ორიან-ექსპრეს“ (პირდაპირი მატარებელი) ვიდრე მაკედონიაში აჯანყება არ მოისპობა, სტამბოლამდე აღარ ივლის, სოფიაში გაჩერდებაო.

ლონდონი. ლაუინპოუზის დოკებს ცეცხლი წაეკიდა და მეტად მალე გაძლიერდა; ზარალი ბევრ ათას გირვანქა სტერლინგს უდრის.

ბელგრადი. ცნობა, ვითომ ძველ სერბიაში წმინდა პროხორის მონასტერი გაეძარცვოთ, სწორე არაა.

პარიზი. სამხედრო მონასტრისა, გენერალ-გუბერნატორის ჟონარისა და ბურჟეს თანადასწრებით კაპიტან ტურნიესა და კაპიტან დიუკრესისაგან გამოგონილი ზარბაზნები გამოსცადეს. ზარბაზნები, როგორც ეტყობა, მოიწონეს. ჟონარი, როგორც დეპუტატი, მოითხოვს, რომ პალატამ ფული გადასდოს ალჟირის ჯარისათვის ტურნიეს ზარბაზნების შესაძენად.

სტამბოლი. პორტამ გააფრთხილა სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები, იქნება რევოლიუციონერებმა უცხოეთის მისიების და საკონსულოების აფეთქება განიზრახონო; საჭიროა დარაჯებს მოუმატოთ. მისიებისა და საკონსულოების შენობებს პოლიცია, ჟანდარმები და გემების მატროსები უდარაჯებენო.

ადრიანოპოლი. ის შენობა, სადაც ბოლგართ ეპისკოპოსი დგას, და ბოლგარების გიმნაზია გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვეს. მაკედონიის საზღვარზე მცხოვრებ სოფლელებს მოხელეები იარაღს ურიგებენ, რომ თავიანთ თავის დაცვა შეეძლოთ.

ბრიუსელი. პრინცმა ალბერტმა საერთაშორისო კონგრესი და სახალხო ჰიგიენის კონგრესი გახსნა.

პეტერბურგი. 20 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე იახტა „შტანდარტი“-თა და „პოლიარნაია ზვეზდა“-თი ლიბავას წავიდნენ.

21 აგვისტო.

პეტერბურგი. მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდი მთავარის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ჯანმრთელობას უკეთესობა დაეტყო. მადა კარგი აქვს და კარგადაც სძინავს; ტემპერატურა ნორმალური აქვს.

ვენა. იმპერატორი ფრანც-იოსები და ინგლისის მეფე წარმოდგენას დაესწრნენ ჰოფბურგის თეატრში. წარმოდგენის შემდეგ მეფე ჟოკეი-კლუბში იყო.

ნიჟნი ნოვგოროდი. დღევანდელ კრებაზე, რომელზედაც წყლისაყვანის საკითხი განიხილეს, სასურველად სცნეს რკინის გზის სადგურებზე არხების გაყვანა სადგურების სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოსკოვი. ქალაქის თვით მართველობამ გადასწყვიტა გახსნას ახალი მასწავლებლები სავაჟო და საქალებო, რადგანაც არც ერთს მსურველს არ უნდა ეთქვას უარი პირველ-დაწყებით სკოლებში მიღებაზე.

ათინა წმ. გიორგის ლაზარეთში მოიყვანეს ერთი მატროსი, რომელსაც შავი ჭირის ნიშნები აღმოაჩნდა. მატროსი ეგვიპტიდან მოსულ გემზე იყდა. საჭირო ზომები მიიღეს. გემი კარანტინში შეაჩერეს.

ბუდაპეშტი. ვენეციის საზღვაო საზოგადოების გემზე „Backany“-ზე აფეთქება მოხდა ბოლგარეთის ნაპირის ახლოს ბურგასთან. მიზეზი გამორკვეული არ არის. გემს ცეცხლი წაეკიდა. კაპიტანი მკვდარი იპოვეს. გემს ყველა დაღუპულად სთვლის.

ოისტერბაი. რუზველტის მამულში დააპატიმრეს ერთი კაცი, ალბად გიჟი. იმას რევოლვერი უპოვეს. მისი სახელი რაპნერია.

სტამბოლი. წარსული კვირის ბოლოში დაიწყო ფართო სამხედრო მოქმედება მეამბოხეთა გასადევნად ოთხ უმთავრეს ადგილიდან; ეს ოთხი ადგილია: ნევესკი, ვლახოკლისური, პერესტერი და სმილევი. ნევესკის წინაამდეგ, რომელიც უკავია იმ მეამბოხეთ, რომელთაც ადგილობრივი ჯარი, 100 კაცისაგან შემდგარი, სრულიად გაჟლიტეს, გაგზავნილია 4 ბატალიონი და ერთი ნახევარი ბატარეა ფლორინიდან. ნევესკი აიღეს ძლიერი შეტაკების შემდეგ. ვლახოკლისურში კასტრიიდან 6 ბატალიონი გადავიდა. ვლახოკლისურის გზა მხოლოდ მთელი დღის ომის შემდეგ აიღეს. მეომართა ორივ მხარეს ბევრი მოიკლა. პერისტერის მთებში, რომელიც მეამბოხეთა უმთავრესი სიმაგრეა, ფლორინიდან ხუთი ბატალიონი გაგზავნეს და ორი ბატარეა და 5 ბატალიონი მონასტირიდან. როგორც სჩანს, მოქმედების გეგმა უვარგისი გამოდგა. ჰფიქრობენ, რომ რაზმებმა გაქცევით უშველეს თავსაო. სმილევში არიბუკიდან სამი ბატალიონი წავიდა და მონასტირიდან 4. ეს საქმე უფრო კარგად წავიდა. სრულიად გაჟლიტეს რაზმები სულ სამასი კაცისაგან შემდგარი. ნასირ-ფაშა რაზმების წინაამდეგ ძალიან მხნედ მოქმედობს. პრეზბას ახლოს ორი სოფელი გადასწვეს.

ტულონი. რუსის მმართველობის ხელში გადავიდა ჯავშნიანი კრეისერი „ცესარევიჩი“ და ამის გამო ამ კრეისერზე სადილი გაიმართა; რუსეთის სამეფო გვარეულობის წევრების სადღეგრძელო რამდენჯერმე დალიეს.

კელნი. ვითომდა მაკედონიის კომიტეტისაგან გავრცელებულ ხმების გამო, ვითომც სულთანი გერმანიის გავლენის ქვეშ ძალიან ომის გუნებაზე იყოს, „კელნ. გაზ.“ ამბობს, ამ ჭორების ავტორებს გერმანია ომიანობაზე წამქეზებლად უნდათ გამოიყვანონო. ნამდვილად კი გერმანია მხოლოდ მშვიდობიანობის დაცვას ჰფიქრობს. გერმანიას თავის დღეში აზრად არა ჰქონია საქმის გამწვავება. მთავრობის წრეები და საზოგადოება ამ საკითხის შესახებ ერთის აზრისანი არიან და იმიტომა ჰსურთ, პორტამ ბოლო მოუღოს ანარხიულ მოქმედებას, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება ნამდვილ რეფორმების შემოღება, როდესაც რაზმების უწესოება მოისპობა.

სოფია. ორი ახალი დიპლომატიურ სააგენტოს დასაარსებლად მიტროვიჩს, როგორც მოელიან, რომს გაგზავნიან და ცანკოვიჩს—ლონდონს.—რაზლოგში, კრასნას ახლო მეამბოხეებს და ჯარებს შეტაკება მოუვიდათ. ბევრი მოკვდა. ოსმალებმა დიდი ძალა იხმარეს რაზმების გასანადგურებლად. მონასტირის ვილაეტში იერიში მიიტანეს პრესტერის სიმაგრეებზე, სადაც მეამბოხეების ბანაკი იყო. მეამბოხეებმა, სასტიკ ბრძოლის შემდეგ, გაქცევა მოახერხეს. ბევრი ხალხი მოკვდა.

ვენა. „პოლიტ. კორრესპონდ.“-ში გამოქვეყნებულია ერთ ბოლგარიის დიპლომატთან ლაპარაკი, რომელსაც 17 წლის განმავლობაში მონაწილეობა ჰქონია ბოლგარიის პოლიტიკაში. ეს პირი გაკვირვებულია, რომ ვენის სერიოზული პრესსის ნაწილი იმპერატორ ფერდინანდის საზღვარ-გარეთ ყოფნის შესახებ ტენდენციურ ცნობების გავლენის ქვეშ არის. ის აზრი, ვითომ მთავარს ყოველ წლივ საზღვარ-გარეთ სიარული გადაეფიქროს ბოლგარიის მდგომარეობის გამო, უსაფუძვლოა. ის ცნობა, ვითომ პალატის წევრთა ანუ ოფიცერთა დეპუტაციას ეჩვენებინოს მთავარისათვის საჩქაროდ დაბრუნების საჭიროება,—გამოგონილია. მთავარმა თავის სამთავროს ყოველივე საქმეთა ვითარება ზედ მიწევნით იცოდა სხვაგან ყოფნის დროს. ვინც კი იმასთან მოხსენებისათვის მიდიოდა, ყველას წმიდა სინიდისით შეეძლო ეთქვა იმისთვის, მიუხედავად მაკედონიის არეულობისა და ბოლგარიის საზოგადოების აზრისა, რომ არ არის მიზეზი წამლობისა და დასვენების დროს შემოკლებისა. უსაფუძვლოა აგრეთვე ის ფიქრიც, რომელიც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთავარი ევქსინოგრადში წავიდა და არა სოფიაში. საზღვარ-გარეთ საზოგადოების აზრმა უნდა პროგრამიდან გამოსტოვოს სახელმწიფოს ცვლილების მოლოდინი. ყველა ბოლგარელები სრულიად ენდობიან მთავარს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქუთაისის წყლისაყვანისა და ელქტრონის ტრამვაის

ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 24 აგვისტოსათვის დანიშნული წევრთა საგანგებო საზოგადო კრება გადაიდო. მეორე კრების დღე გამოცხადებული იქმნება. (1—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 26 აგვისტოს, შუადღის 12 საათისთვის, გამგეობისავე თანადასწრებით, ხელ-ახლა ინიშნება **საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც გაიცემა **ახალ-ნაძალადევში მიწის ნაჭრები.** ვისაც მიწების აღება უნდა, იმან 26 აგვისტომდე უნდა წარადგინოს მოწმობა პოლიციისაგან, რომ იგი ხარჯის გამღებ წოდებას ეკუთვნის და ტფილისის თვით-მმართველობაზეა მიწერილი. თუ სხვა წოდებას ეკუთვნის, უნდა წარადგინოს მოწმობა: რუსეთის ქვეშევრდომმა იმის შესახებ, რომ ქალაქ ტფილისში 5 წელიწადზე მეტი უცხოვრია, სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომმა—რომ 10 წელიწადზე მეტი უცხოვრია. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ იმათ, ვისაც ქალაქში უძრავი ქონება აქვთ და არც იმათ, ვის შვილებსა და ცოლებსა აქვთ ასეთი შენობა. მონაწილეობას ვერ მიიღებენ აგრეთვე ისინი, ვისაც იჯარით ქალაქის მიწა აქვთ აღებული. (2—ნ.—1)

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირმ. მიულჰენსი

კელნი რეინზე და რიგა.

სქონდის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (მც. 1—1)

ცინკოგრაფია

ტიფლ. ბამოც. ქართველთა ამხანაგობისა

განის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 875.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.